

კვირის პალიტრა

1985 63

1168
2004


N52 (237) 23/XII.-29/XII.2004. ფასი 60 ლ.

გზავნილები: უხერხული სიტუაცია

შიშველი
საჩუქრი

თემა:
ეპრივი მარკაცები

ცადვილი ამჟავი: მკოთხველი სრეა და გევლად აყვანილი გინეკოლოგი



ლუგა ელიაზვილის
დეტექტივი:

„ურნალ „რეიტინგის“
ურნალისტი იდუალი
გვალელობის ერთადართი
მოწევა გაცდა...“

მაღა, იანვრის ნომერი!

ლუტერანული პალიტიკა

i130!
გვარდი

No 1

(4), იანვარი, 2005

- რეზონ ჭრაშვილი
ცირკულარი (საქართველოს უცხოური მუნიციპალიტეტი)
- გეგა სამადაშვილი
ჭარმავი მხატვრის პორტრეტი
- რეზონული გვარი
არჩილი, გიგი, ლევა...
- აფა პოლინოვა
პოეტი, რომელსაც ბერძი, ღამურები და
თხენელებიც კი ცნობდნენ
- წარმოგენ ჭანტულია
დინობავრილი დაბანამდე
- წარმოგენ ჭანტულია
თერთმეტი წელი (მოვლენების გადასახვა)
- პოეტია
პახუმია 736 წელი
სასტატურო მიზანი
- მცირე იმარჯოსნი
- ნოდინ დუმაშვილი

ეუქნალი, ჩომელი მნებალი მეიობველი
სიტბოსა და სიყვახული დაუბუნებს

მისამართი

„ენერგეტიკული ნეაროლოგი“
ანუ მიწაცემ გამორის მიღს.. 3

პარალელ მოწყვლილი 4, 5, 6

ერთი კითხვა 4

კოსტი

ახალი მინისტრი უარყოფითი
საინვესტიციო გაგალითების
შორები იწყებს მოღვაწეობას 7

როგორი

ირაკლი აბათიაშვილი: „დღევანდელ
ხელისუფალი ტინეიჯერები
აგრძელება აქვთ“ 8

კიბეჭილი კავანი

ნაზრ რეინა: „მევანეობოდა,
გათხოვდები და იციდიანებო,
მაგრამ აპა, ბაზოც,
გავთხოვდი და...“ 11

სასიკრ

„რა იქნება, ამ ციცი გამორის ერთ
ლამაზ დამას მეც ჩამალვიარ?..“ 13

კაბინეტი

„ვიღი მომიკლეს, მკლიავილს
ასრულებენ“, – აცხადებს
დაგრადებული, რომლის იხახები
წინასაახალწლოდ საშინელი
ტრაგედია დატრიალდა 14

ცალკილი აგავი

სრუა მაითხავი და მგევლებ
აყვანილი გინეკოლოგი... 18

გამოცხადა

მსახიობის კოლექცია, მედეა
მიმიგურის ნაკონი ქისა და
ხავავი თორინა 19

კოდილი აგასაცი

ინფორმაციულ-ევოლუციური კოლაჟი
გორგა დვალის უას წიგნეაიღან 20

თეა

კერივი გამაპაცება: ვეპა დადას
ჩახი მაილეაისთვის... 22

კორი

კორი ყაზანეიშვილს გამჭდავნებული
გაგრები ცედალ აქვს დაცილი 25

გავანილები

„მიმდევი, ითამილი მარტო არ იყო
და სასწრავოდ დავიწყე ჩატმა...“ 27

რკაცი

სახის კრემით მოგზადებული
ერაორევერცი ანუ სიყვარელის 30

კავერტებობა

- მაქარი და მარილი 32
- დამნაშავეა ანტიაიროზიანი 33

ქვეითი აამაგაცები



„ლალი, იყავი, რა, ჩემი დედა!“ –
პატარა სალოს მიერ დაწერილი ეს
ფრაგა უკვე 30 წლისაა, ქალბაგონ
ლალის კი ისევ შენახული აქვს,
როგორც ერთადერთი განძი,
რომელიც ცხოვორებამ არგუნა... მა-
შინ ის „სასწრაფო დახმარების“ ექი-
მად მუშაობდა...

22

ასალცლის დამას პატ-0100 სირილი ქალიან გღლის

„ოჯახში კერძებს ყოველთვის
დედა ამგადებს. მეც, რა თქმა
უნდა, პატარაობიდან, ყოველთვის
ვებმარები. ყველაზე მეტად
ნიგვის დაჭრა მიყვარდა... წელს
კი, მე ცალკე ოჯახი მაქვს...“



39

გერმოჭრილი ვის უზრუნველისი, ვინ მოგლე გაჩანს და... სინაური



49

„მარტო იყო. შემინებული
ფაზებით მიცემდა... ვგებული
იმით, თანდათან როგორ უქრებოდა
თვალებში სხიფი თან, მაღამალ საათს
უკრებდა, ამტომ დროის დაკარგვა
არ შეიძლებოდა. უკურად, თოხში
სამინდელ სუნი დაჭრიალდა. ჩაისარუ
შე დორო-მეთქე?! – ვუთხარი...“

პოტე შუბანი გვილის გამეღამებული გეგმები ცედალ აქვს დაცილი

„ჩვენ მშვიდობა გვეცნია. არადა,
ახლა, გახურებული მესამე მსოფლიო
ომია დაწყებული. წელს, თუ 5 ქვეფ-
ანა მონაწილეობდა ამ ომში, მო-
მავალში ეს ყველაფერი გეომეტრი-
ული პროგრესით გაიზრდება...
ერთი ლექსი მაქს დაწერილი, ფაქ-
ტობრივად, პროგრამაა, თუ რის შემ-
ცემ რა უნდა გაკეთდეს...“



25

თაგარი	
„...რახეოთი მშვიდ ვარ და მღაბალ გულითა...“	34
საერთო	
ქართული კულტურის კვირეული ათავითი	35
ვაკრიტიკი	
<ul style="list-style-type: none"> ● შევა „ოქროს ბურთს“ პაოლო მალინის მიანიჭებდა... 36 ● კაკარაცხაძის საყურადღეაოზ: მიმველი მაშას ერთი ფრთი 200 ათასი გირვანეა სტერლინგი ლირს! 	37
საზაფრი	
ეკა კახიანი: „ახალწლის ღამეს აქატ-იქით სირაილი კალიან მღლის“	39
სალონი	
შევივალოთ თუ არა თმის ფარი და ყველაგა დიდი შეცდომა ჭაღარის შეღაბისას	40
ეკრანი დათვებითი	
ლუა ელიაშვილი. პირვანდი მკვლელი და ჩიკოლიცი (დასაწყისი)	42
კასპარავი	
მირა სორისო – უმრეში ენერგიისა და აუზანელი სასიათის ინიციატივალი მსახიობი	46
გომონი	48
ცსერი	
ყურმოკრილი ცხის უფროსი, ვინ მოვალე ბაჩანა და... სინაცხლი	49
ორგზაურის დღიური	
სტუმრად კაგინო „ბალეგი“ ანუ სატანის სამფლობელოში...	51
კატო	54
დაგრენება	
შეგება თუ არა კახი კახიაშვილის მიხეთე რლიმაიადა?	55
კარისავლარი კოროსკოვი	
მამალი ყველაფერს იღონებს თმის გასათხოვებელად – რა გველის 2005 წელს?	58
კოროსკოვი	
კვირის (27 დეკემბერი – 2 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანდალი	61
ივანორი	62
ტესტი	
მრავლისმატველი საჩუქარი	63
კალიფონსკოვი	
ჭრელ-ჭრელი ამბები	64
გარეარაზე: გიორგი შორქოლიანის კოლაზი	
საჭიროადმისამად-არღისტიკური შუალადი „გზა“ გამოიდის პარაზიტ მრთებალ, ხუთმაგაორგი გაძევი „პარაზიტ ალიტრის“ დაბატება	
ფურალი ჟელმდვერელის თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზის შესაძლოა არ ეჭხვოლოს მსალის ატერის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გოჩა ტექშელაშვილი მეცნიერი: მათე ქაბილაძე	
მისამართი: თბილისი, აკტორთა ქ. №8 ტელ: 33-50-32 email: gza@kvrispaltitra.com უფროსი ინტერესი გამომცემლობა „კოლორში“	

ედგარი თუ არა გახი გახიაშვილის გენეზი რლიმაიადა?



„გასაგებია, რასაც მეკითხები: დიდი სპორტი ამქვეყნიურ სიამოვნებებაზე უარის თქმას მოითხოვს. გია ასანიძის, მართლაც, მისი შვილების გამო, თეთრი შერით მშერს... რაც შეეხება ღვინის სმას, ამ საქმის მოყვარული არასდროს კყოფილვარ.“

55


ერენერდნენ, გათხოვდები და იმავალებო, გაგრამ აკა, გატომი...

„ხშირად მეუბნებოდნენ, გათხოვდები და იეჭვიანებო, მაგრამ აპა, ბაგონო, გავთხოვდი, მაგრამ არ ვეჭვიანობ... ცოლქმრული ცხოვრება უფრო რთულად წარმომედგინა, მეგონა, ბევრი მოვალეობა დამეკისრებოდა... რაც სანახავი იყო, ყველაფერი ვნახე.“



11

კაპარაშვილის საქადოდებოდ: მიმმალი მამას პრი ზოტი 200 ათასი გირგანს სტერლინგი ღირს!



სამყარო „შარაპოვამანიაზ“
მოიცავა. სოჭში კი, მარიას ბიძაშვილი, დამა შარაპოვა იზრდება... ფოტოგადაღებას კი, დამას უკანასკნელსაც „შარაპოვას პროექტში“ ჩართვას უპირებენ. ერთი სიტყვით, ახალი ბდაპრული ამბავი იწურება – ამჯერად დამასთვის.

37

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

ეურნალ „რეიგინგის“ ეურნალისგი მარიანა ნიორაძე, იგივე ნიორა, „დინამოს“ სტადიონზე ცნობილი მეცენატისა და ბიზნესმენის მოსე კრიხელის მკვლელობის ერთადერთი მოწმე და მისი უკანასკნელი სიტყვების გამგონება... სწორედ აქედან იწყება მარიანას ფათერაკებიანი თავ-გადასავალი...“



42

„ენერგეტიკული ნეუროლოგი“
ანუ მავეცეი ზამთრის ძილი...



საღოლლ, მმაო! ასეთი მობილიზებულები შევხვედრო-
დეთ ზამთარს, ჯერ არ მანსონს. რა ინვესტიორები არ
მოიზიდა ენერგეტიკის სამინისტრომ და რა სარემონ-
ტო სამუშაოები არ ჩაატარა. თვითონ მნიშვნელი ხომ
ნამდვილი პროფესიონალია: წინასწარმტკველივთ ამ-
ბობდა: ჯერ კიდევ აგვისტოში – ზამთარში აცილე-
ბათ... მთავრობამც ყველაფური გააკეთა იმისათვის, რომ
ზამთარი გვიან მოსულიყო, საათებიც კი გადავწიეთ
უკან, მაგრამ შეცდომა მაინც დაკუშეთ: 1 საათით კი
არა, სამი თვით უნდა გადაგვეჩია დრო უკან, რომ
დეკემბრის ნაცვლად მარტში დაზამთრებულიყო. მერე
უცებ გადავწევდით წინ სამი თვით და ისე აღმოვჩნდე-
ბოდით მასში, რომ ზამთარს სულ გამოვტოვებდით.

ახლა კი ის მივიღეთ, რომ მთელ საქართველოში
თოვს; თბილისში არ თოვს, მაგრამ ისე ყინავს, რომ
კაცი მაცივარში შეხვალ გასათბობად (უფულობას რა
კუთხრა, თორემ იყიდე ერთი დახლმაცივარი მთელი
ოჯახისათვის!).

იმ დღეს, ბავშვს მივაკითხე სკოლაში, ვიცოდი, რომ სკოლები ნავთით მოამარავეს და ვიზიქრე — სანამ მასწავლებელს დაველაპარაგები, ცოტა გავთბები-მეთქა... რას ვწერავ: იმ ნავთში იმდენი წყალი შეურევიათ, რომ დუმელს ლოლუები ეკიდა. ბავშვები დარბოდნენ, ჭიდაობდნენ და ასე თბებოდნენ; მასწავლებელს კი მსოფლიოს კლიმატური რუკა გაეშალა დაფაზე. ალბათ გასათბობად აურიეის კონტინენტს ჩახუჭებოდა და ზედ მიყინულიყო. საცოდავი ქალი მანქენით „ავიტაცე“ და სამასწავლებლოში, ერთა-დერთ მოგიზგიზე ღუმელთან გადავდგი... თავად კი, აღშფოთებულმა, კანცელარიას მივაშურე — გიცოდი, რომ სამთავრო-



ბო სხდომა იყო დანიშნული, რომელზეც ზამთრის პრობლემები უნდა განეხილათ...

ლიფტში თვითონ ენერგეტიკის მინისტრი დამეგზავრა, რომელსაც ხელში მოხსენებით ბარათი ეჭირა იძღვნ ეგზებლარად დაბჭედილი, რამდენი კაციც უნდა დასწრებოდა სხდომას. ერთი ცალი ფურცელი ისე დაუკართა, რომ არა აშენდნება. აი, ლა ეწერა ზე:

ଏହାରୁକାଳୀନ ବ୍ୟାଲିଙ୍ଗରେ

ମାତ୍ରା = ନିରଜାତିରୁଷି ଶାମିନିରୁଷିତିରଙ୍ଗଃ

დედა — არა ჰყავს(!);

მეუღლება – აწ გარდაცვლილი მე-9 ბლოკი;

ბმებია „რაოცხანა“ და „საქაზი“ ღრმა მწესარებით იუწყებან, რომ ა.წ. დეპებერში, მოულოდნელად, თავს დაკავატყდა ზამთარი”...

სიტყვით სხდომაზე, ჯერ მომჩინანი მინისტრები გამოვიდნენ:

- ვერც შემოსავალი დამითვლია და ვერც გასავა-

ლი, — დაიწურუნა ფინანსთა მინ-
ისტრომა — შეუქი არ მაქვს, რომ
კომპიუტერი ჩავრთო და ქვეში-
წერით გამრავლება არ ვიცი;

სხვებიც რომ აჰევნენ, ენერგეტიკის მინისტრი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა.

პრემიერ-მინისტრმა მისი დაცვა სკადა:

— კაცმა რომ თქვას, არც ენერგეტიკის მინისტრის ბრალია; დენი არა აქვს, რომ დენის აღსაღენად იმუშაოს და რა ქნას?! ბუნებრივ გაზს კიდევ წნევა დაუვარდა ნერვიულობის ნიადაგზე და რა მინისტრის ბრალია?!. კი, მაგრამ რიკოოს უდელტეხილზე რომ მოძრაობაა შეფერხებული, რატომ არ წმენდს გზებს თოვლისაგან საგზაო დეპარტამენტი, ტენინგა არ გყავთ?

— ვცდილობთ, ბატონო, — ალუდლუდა დეპარტამენტის უფროსი — ტექნიკა როგორ არ გვყავს, მაგრამ თბილისში გვიყენია, გორის აღმართზე თოვლია და როგორც კი გადწება, იმ დღესვე გადავისრით ტექნიკას რიკოთზე.

— მე და ჩემი სამინისტრო დღესა და დამეს ვას-
ტორებთ მუშაობაში, რომ ზამთრის პრობლემები სა-

ასე რომ, მომავალი წლიდან, დეკემბრის დასაწყისში ხალხი ზამთრის ძილს მოეცემა, თებერვლის ბოლოს კი პვლავ დაუბრუნდება ცხოვრების თბილ და აქტიურ რიგშის. ამით შეჯის პრობლემაც „მოგვარდება“, არც ბუნებრივი აირის დეფიციტს ვიგრძნობთ და ზამთარიც სიზმრად „მოგვაჩვენება“....

P.S. კანკელარიის სასაფილოში:

- Ի՞նչ քայլութեամբ?

— ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

— ოოო, კარგია ცხელი ბორშჩი, ჩაისაც დაგაყოლებდა გავთბები.

— არა, ბატონი ზურაბი: ბორშჩი გვაქვს ხალადეცის სახით. რომ მიირთმევთ, მერე ჩაის ნაყინსაც დაგაყოლებინებთ...

პროვინციატორი

სანცა-კლაუსერი ეტობანითს საკუამურში ჩაძრომაში ჯიმზერიან

ჩრდილოეთ შევის ქალაქ ელი-გარში „სახალწლო ჯაღიერების“ საერთაშორისო ზამთრის თამაშები გაიმართა. იქ შეიკრიბნენ სანტა-კლაუსები და თოვლის ბაბუქი დიდი ბრიტანეთიდან, დანიდან, ისლანდიიდან, ესპანეთიდან, ნორვეგიდან, რუსეთიდან, შევეიიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან და ესტონეთიდან. შეჯიბრებები ტრადიციისამბრ, 4 მირთად და რამდენიმე დამატებით სახეობაში გაიმართა.



გამარჯვებულ გუნდს ყველაზე მეტი ქულა უნდა დაეგროვებინ, საკუამურში შეძრომასა და იქდან საჩუქრების ჩაყრაში, ფინური ციგით რბოლასა და ფაფის ჭამაში, თანაც, სანტა-კლაუსებს ისე უნდა მიერთმიათ ფაფა, რომ წვერი არ დასვარათ. მაგრამ ყველაზე რთული ეტაპი შეჯიბრების მონაწილეებს დოლის დროს დაუდგათ: პატარა, ფინურ ციგში შემული ირემი პრაქტიკულად უმართავა და თუმცა მოკლე დისტანცია – სულ 250 მ ჰქონდათ გასავლელი, ფინიშმადე ყველას არც მიუღწევია. გამარჯვება კი, კარელიდან ჩასულმა რუსმა თოვლის ბაბუქ, – მისაილ კურგანოვმა მოიპოვა, რომელსაც უნიკალური პრიზი – ხელნაკეთი ხის სანტა-კლაუსი გადაეცა.

.... უკვე დაუფარავად უერაცხოვენ საპატრისტების სახელს“

— როგორც თავად აცხადებთ, „ნაციონალური ლობი“, ანტიმართლმადიდებლურ და ანტიეროვნულ ძალებს ღიად დაუპირობირდება. რა პოზიციას დაიკავებს საპატრიარქო?

გიორგი ალექსარი, საპატრიარქის ცოფილი საპარლამენტი მდივანი:

— საპატრიარქოს დუმილი არ დაურღვევია და არც მომავალში აპირებს, ასუხი გასცეს უზრდელი ადამიანების მცირე ჯგუფს, რომელიც თავად ეკლესის ვერ მოერიცნენ, ამთხომ ცდილობენ, ხელისუფლებისა და ეკლესის დაპირისპირებას. საპატრიარქოს ასეთი თავშეკავებული პოზიცია ჩემთვის სავსებით გასაგებია. ამიტომ გადადეს თანამდებობიდან და ორგანიზაცია, „ნაციონალური ლობის“ წევრებთან ერთად, ამ ადამიანების თავდასხმას სათანადო პასუხს გავცემ. ყველას აქეს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აზრი. მაგრამ იმ პირთა წრე, რომლებიც ბოლო ერთის განმავლენიშვილი და მათი მინდა, დღეს დავაკონკრეტო, თუ ვის აშინებს პატრიარქისა და ეკლესისადმი მოსახლეობის მაღალი ნდობა, მაგრამ სიწმინდებისგან ხელები შორს დაიჭირონ. ქართული საზოგადოება მის შეურაცხოფას არავის აპატიებს.

რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, შენიდბული აგრესით ახორციელებდნენ მართლმადიდებელ მრევლასა და ეკლესიაზე თავდასხმას, უკვე დაუფარავად შეურაცხოფენ საპატრიარქოს სახელს. მათი ჰალუცინაციური ბრალდებები – თითქოს, ეკლესიის წინამდლოლები სხვადასხვა რელიგიური კონფესიის დასარბეცვად შავბენელ ძალებს ფულს უხდიდნენ, თითქოს საპატრიარქო და ეკლესია რუსეთის აგენტებითაა საცხე და ა.შ. – გარდა ცილისწამებისა, სამართლებრივი ნორმების დარღვევასაც წირმოადგენს. ასეთი უსაფუძლო ბრალდებების ავტორებს მომავლში, სასამართლოში მოუწევთ თავის მართლება. არ მინდა, დღეს დავაკონკრეტო, თუ ვის აშინებს პატრიარქისა და ეკლესისადმი მოსახლეობის მაღალი ნდობა, მაგრამ სიწმინდებისგან ხელები შორს დაიჭირონ. ქართული საზოგადოება მის შეურაცხოფას არავის აპატიებს.

„გვერდი, შერთულ არმიაში დღევანდელზე უკათვის პირობები იყოს...“

— მუხროვანის ინციდენტს როგორ ჯარისკაცები მიმეგ სოციალურ პირობებს უკავშირებენ და ეს მაშინ, როცა თავდაცვა პირორიტეტულ სფეროდ არის გამოცხადებული და მასზე სოლიდური თანხებიც იხარჯება...

თემო ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარე:

— მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით გამომიერა უპევ დაწყებულია. იმდენ მაქს, რომ ჯარისკაცების უკანონო გადაადგილების ობიექტური მიზეზები დადგინდება. ქართულ ჯარში სოციალური პირობები იდეალური არ არის, მაგრამ პროტესტის ამგვარი ფორმა აბსოლუტურად მიუღებელია. სამხედრო პირებს კანონით, გაფიცვებში მონაწილეობა აკრძალული აქვთ. კანონის ამ მოთხოვნას ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი უნდა ასრულებდეს. ჩვენი ხელისუფლებისთვის თავდაცვის სფერო პრიორიტეტულია, ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ცხადია, გვსურს,



ქართულ არმიაში დღევანდელზე უკეთესი პირობები იყო. მაგრამ იმის თქმა, რომ ჯარს ფურალდებას არ ვაკეთო, რბილად რომ ვთქვათ, უმდევრობა. არცუ ისე დღი ხნის წინ, სამხედროებს ცალ-ცალი ჩექმა ეცვათ და ზამთრის ყინვებს თხელ ფარავაში ხვდებოდნენ. ჯარისკაცი ქვეყნის წინაშე ნაკისირ ვალდებულებას კარგად უნდა აცნობიერებდეს. ბუნებრივია, ხელისუფლებამაც თავდაუზოგავად უნდა მიმშაოს მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

„კრემითა სახვდრო ტექნიკის მოჭიდვისას დაწყეტა“

— კოკილითის „საომარი მო-
ნიდებების“ შემდეგ, სეპარატ-
ისტთა სამხედრო ნაწილებმა ჯა-
ვაში სამხედრო ნირთნები დაი-
წყეს. რეალურად რა ვითარებაა
ცხინვალის რეგიონში?

მისამართი ქარელი, პოზიციების
ტის რწმუნებული შიდა ქართლში:

— ცხინვალში სამხედრო ტექნიკის მიზანდაზაცია მართლაც, შეინიშნება. სუპარატისტებს დაძატებითი ძალები გადასრულობით ჰყავთ ჯავაის რაიონში. არსებული ინფორმაციით, მძიმე ტექნიკა შეევანილია ცხინვალშიც; გარდა ამისა, ჩრდილო ოსთიდნ ჩამოყვანილი მოხალისების სიძრაველეც შეინიშნება. ამის გამო, რამდენჯერმე დავსვე საკითხი და მოვთხოვე რუსე-

თის სამშევიღობო ჯარების სარდლოს-
გან, გავსულიყავით ჯავის რაიონში
და როგოს გვირაბაშე მთელი ტერი-
ტორია დაგვითვალიღებინა. კულახმე-
ტოვი, გასაგები მაზეზების გამო, ჩვენს
წინადაღებას არ თანხმდება. ასევე
მოვთხოვთ უჟოოს მისას, უფრო გა-
ფართოებული მანდატით განახორციე-
ლოს მონიტორინგი და ნახოს, რე-
ალურად თუ რა რაოდნობის სამშევ-
რო ტექნიკა მოძილიზებული. როგორც
ჩანს, კორიოითი რუსეთის გულის მოგე-
ბას ცდილობს, რადგან იცის, რომ მოსკ-
ოვს ცხინვალში ომის პროვინციება
გამგება, მაგრამ საკუთარი ხალხის ინ-
ტერენერები ავწევდება. ამ კონფლიქტის
დროს თუ ვინმე დაზარალდება, პირველ
რიგში, ეს ისური მხარე იქნება. ■

„Ար մենք առօղյութ, իրա եւ ըստագոյլ
ընկայութեան քաջազ սկսած պարուսեան”

— ეკონომიკის სამინისტრო—
ში გვარქნებულებენ, რომ ბათუ-
მის პორტის 107 მილიონად
გაყიდვით, ქვეყნის ბიუჯეტი
სოლიდურ მოგებას მიიღებს,
ოპოზიცია კი ფარულ გარიგე-
ბაზე ალაპარაკდა. რა ინფორ-
მაციას ეცნობობით?

დავით გამორელიძე, „მემარ-ჯვარი თბილისიდა“:

— სანაოსნო საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს, რომელიც მუშა მდგომარეობაშია და სკაპ-მაოდ კარგი შემოსავალიც მოაქვს. მისი დღვევანდელი მდგომარეობით თუ ვიშსჯელებთ, ობიექტის ღირებულება 107 მილიონს ბეჭრად უნდა აღემატებოდეს. გარდა ამისა, ეჭვს ბადებს პრივატიზაციის პირობების გასაიდუმლოება და ფარულად გაფორმებული ხელშეკრულება იმ კომპანიათან, რომელიც ან ბონდე ნილენენის სახელს უკავშირდება და რომლის ზურგს უქნა, ასლან ააშიძის, გარილუჩანსკისა და იური ლუჟკოვის კლანის ინტერესები მოიაზრება. არ მინდა ვიფაქრო, რომ საქართველოში სტრატეგიულ ობიექტებს კვლავ აპაშიძის გარემოცვა მართავს, მაგრამ



ფაქტია — ხელისუფლება ყოველთვის
იმ პიროვნებებისა და კომანიების
ინტერესების დაცვას ცდილობს,
რომელთაც საპასუხოდ, მთავრობის
შავბენლი საქმეების მიჩუმათება და
კრიმინალური ინტერესების დაცვა
შეუძლიათ. გამორიცხული არ არის,
რომ ნიღსენმა რამდენიმე წლის წინ
200 მილიონად შეფასებულ სანაც-
ნოში 107 მლნ.-ზე გაცილებით მეტი
გადაიხდა, სხვაობა კი, მაღალჩინო-
სანთა ჯიბებში გადაწილდა.

ଶ୍ରୀମଦ
ବିଷ୍ଣୁପ୍ରକାଶମା
ଗାମତ୍ୟନା
ରାଜ୍ୟଭୂଷନା



აშშ-ის პრეზიდენტის პორტფოლიო
მა სკანდალი გამოიწვია და ნიუ-
იორკის სავაჭრო ცენტრში – „ჩელ-
სი მარკეტ“ მოწყობილი, ახალგაზრ-
და მხატვართა გამოფენის ნადრე-
ვად დახურვის მიზეზად იქცა.
ექსპოზიციის გახსნიდან მესამე დღეს,
ცენტრის მენეჯერმა აღმოაჩინა, რომ
23 წლის კრის სავიდოს ტილოზე
გამოსახული ჯორჯ ბუშის პორტრე-
ტი, ჰაობში მოტივტივე მაიმუნების
გამოსახულებისგან შედგებოდა. მე-
ნეჯერი საოცრად განრისებდა და
სავიდოს ნატუშვერს ექსპოზიციის
დანარჩენი 60 ნიმუშიც მიაყოლა.
არადა, გამოფენა დამდგი 2005 წლის
ანგრის ბოლომდე უნდა გაგრძელე-
ბულიყო. 3,5 ათას დოლარად შე-
ფასებული, აკრძალული ტილოს ავ-
ტორი ძალზე ქმარივილი დარჩა მე-
ნეჯერისა და მყურებლის უკანდებთ,
თუმცა ექსპოზიციის დახურვას, აღ-
მაშვროთებელი ცენტრის აქტს უწო-
დებს. „სიტყვის თავისუფლება
ამერიკელთათვის ფუნდამენტური
უფლებაა და ვერ წარმომდგინა, თუ
ასეთი რამ შეიძლებოდა მომზადობით
ჩვენს ქვეყნაში, თანაც, ისეთ ქლაქში,
როგორიცაა ნიუ-იორკი“ – დასინა
ახალგაზრდა მხატვრმა.

თიბრი კაცუროს მუილიშვილი აშშ-ის მთალაძი გახდა

კუბელი დიქტატორის შვილიშვილი, 26 წლის აღინა სალგადო, იმ რამდენიმე ათას კაცს შორის აღმოჩნდა, ვისაც ფლოროდის შტატის ქალაქ მაიამი-ბიჩში გამართულ, აშშ-ის მოქალაქის ფიცის დადგის ცერმონიაში მონაწილეობა ხვდა წილად კასტროს შვილიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა უურნალისტებისთვის რაიმე კომენტარის გაკეთებაზე. „ვველაფერი, რაც ჩემს პირად ცხოვერებას შეეხება, მაშედის საქმე არ გახდავთ“, — მოკლედ მოჭრა აღინა სალგადომ, რომელიც ფიდელ კასტროსა და ნატალია რეუულტას



სამოქალაქო ქორწინების შედევრ დაბადებული აღინა ფერნანდესის შვილია. 1993 წელს ფერნანდესმა არალეგალურად დატოვა სამშობლო. კუბის ხელისუფლებისადმი გაკეთებული საჯარო განცხადების შემდეგ, მას თავისი ქალიშვილის, მაშინ 16 წლის აღინა სალგადოს აშშ-ში წაყვანის ნება დართეს. შემდგომ, სწორედ აღინა ფერნანდესმა გამოაქვეყნა მოგორებების წიგნი, რომელშიც ფარდა ახალი ფიდელ კასტროს პირად ცხოვერებას: მან მკითხველს მოუთხრო დიქტატორი მამის უკანონო შვილების შესახებ, რომელთა სახელები თურმე, ასობგერა „ა“-თი იწყება (ალექს, ალექსანდრ, ალესანდრო, ანტონი, ანტონი) და ამას იმ გარემოებით ხსნის, რომ თავად ფიდელს მეორე სახელად ალეხანდრო ჰქვია... ■

თბილი იანვარი, 13-მრადუსიანი ყინვების თანხლები?

— ყინვიანი დეკემბრის შემდეგ, როგორია იანვრის თვის გრძელებადიანი პროგნოზი და უნდა ველოდეტ თუ არა სახალილოდ დედაქალაქში თოვლს?

რამაზ გიორგიავაძე, მეტეოროლოგის დეპარტამენტი:

— დეკემბერში ტემპერატურის -11, -12 გრადუსამდე დაცემა ნავარაუდევი იყო ჩვენ მიერ. რაც შეეხება იანვარს — საშუალო ნიშნულზე 2 გრადუსით მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელი. შევის ზღვის სანაპირო ზონაში საშუალო ტემპერატურა +8, +9 გრადუსის ფარგლებში იქნება. ნალექიც ნორმაზე ნაკლებია ნავარაუდევი. კოლხეთის დაბლობზე საშუალო ტემპერატურა +7, +8°-ა მოსალოდნელი, მაღალმთიან ზონაში: +1, -3, ასევე კონიური ნალექით. აღმოსავლეთ საქართველოსა და ქართლის ვაკეში ტემპერატურა +1, +3 გრადუსის ფარ-

გლებში იმერყევებს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში: -1, -2-ია მოსალოდნელი, რაც საშუალო ტემპერატურაზე ასევე 2 გრადუსით მეტია. როცა გრძელვადიან პროგნოზზე ვსაუბრობთ და ვასახელებთ საშუალო მაჩვენებლებს, არ უნდა დაგვავიწყეს, რომ ცალკეულ დღეებში შესაძლებელია, ტემპერატურა დღიდი ამაღლიტუდით — 15-16 გრადუსის ფარგლებში მერყეობდეს — ანუ როცა საშუალო ტემპერატურას +2, +4 გრადუსს ვაცხადებთ, გამორიცხული არ არის, რამდენიმე დღე ტემპერატურა -12, -13 გრადუსამდეც კი დაეცეს. თუმცა, ჯამურად, იანვრის საშუალო ტემპერატურა ტრადიციულ ნიშნულზე 2 გრადუსით მაღალი იქნება. რაც შეეხება თოვლს — სახალილოდ დედაქალაქში მცირე ნალექია ნავარაუდევი. ■

2. 3 და 4 იანვარს გრძელებული ვაკები უარის საცელმოქმედო დროს ძირისადასტური

დილი ნაძვის ხე, თოვლის ბაბუა საჩუქრებით, სურათების გამოფენა-გაყიდვა, 200 უფლებამო ღა დაუცველი ბავშვის გართობა, ტელეტურიკების კონცერტი (დასაწყისი 12 სთ-ზე) და მრავალი სხვა სიურპრიზი.

ორნისძიების ორგანიზაციები ღა მხარდაჭერები: ვაკე-საბურთალოს გამგეობა, „ბასტი-ბუ-ბუ“, „კვირის პალიტრა“, „საქართველოს ბანკი“, „მინიგოლფ-კლუბი“, სამხატვრო აკადემია და ვაკის პარკი.

მობილური, გარეთი ღა იანვარისათვის!

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი სულ უფრო და უფრო ახალგაზრდავდება. ცოტა ხის ნინ, პრეზიდენტმა „რუსი ოლიგარქი“, ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრის ახალგაზრდა მოადგილით ჩაანაცვლა, ხოლო თავადური წარმოშობის სოფლის მეურნეობის მინისტრი, წარმატებული ბიზნესმენით შეცვალა. „ახალგამომცხვარი“ მინისტრები კანონმდებლობით დასტურს არც დალოდებიან, ისე შეუდგნენ საკუთარი მოვალეობების შესრულებას. სწორედ მის ახალ სამუშაო კაბინეტში შევხვდით ეკონომიკის მინისტრს, ლიკსო ალექსიშვილს.

ახალი მინისტრი უარყოფითი საინვესტიციო მაგალითების ფონზე იწყებს მოძვალეობას

ესა ტესიამვილი

— ბატონი ლექსო, თქვენი წინამორბედის სამუშაო თახაზი რატომ არ დაიკავეთ?

— ეკონომიკის სამინისტროს შენობაში აქამდ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ამიტომ გადაწყდა, რომ დროებით აქ — ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი სამინისტროს შენობაში დაიდებოთ ბინას. სხვათა შორის, ჩემს დაინშვნამდე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილეები და რამდენმე დეპარტამენტი უკვე განთავსებული იყო ამ შენობაში.

— როდესაც პრეზიდენტი საზოგადოებას თქვენს თავს აცნობდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ განათლება უცხოეთში გაქვთ მიღებული...

— დამთავრებული მაქს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. მოუხდავად იმისა, რომ ჩემი სტუდენტობის წლები საკმაოდ როულ პერიოდს დაემზეა, იმ დროს უნივერსიტეტი განათლების თვალსაზრისით, მაიც საინტერესო იყო: სწორედ იმ პერიოდში გამოჩნდა ეკონომისტების ახალი ტალღა, ვინც დაგვანახვა, რომ ეკონომიკა სულაც არ არის მოსაწყენი შეცნიერება და შეიძლება, იყი საფუძლიანად და საინტერესოდ შეისწავლო. ჩემი ყოფილი პედაგოგები, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში ელიტურ ბიზნესწრეებს წარმოადგენ. რაც შეეხება ამერიკაში მიღების მინისტრს, ლიკსო ალექსიშვილს.

მე ამას დამატებით განათლებას დავარქმევდი. თუმცა, გამიმართლა, რომ მოვხვდი მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში და ორი წლის განმავლობაში კურტიერთობდი საგმაოდ ცნობილ პროფესორ-მასწავლებლებთან.

— ვიდრე სახელმწიფო სამსახურში ჩადგებოდით, როგორც ვიცი, არასამთავრობო სექტორში მოღვაწობდით...

— 1994 წლიდან მოყოლებული, თითქმის 2004 წლამდე გახლდით ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი, რითიც ძალიან ვამყობ, რადგან იმ პერიოდში ეს ორგანიზაცია საკმაოდ აქტიურად გამოდიოდა სამთავრობო სექტორის წინააღმდეგ. დღესაც კი, აღნიშვნული ორგანიზაცია საკმაოდ მძლავრია, როგორც თავისი რესურსებით, ასევე იმ მიზანმიმართული სტრატეგიით, რომელსაც ახორციელებს. იმედი მაქს, რომ ეკონომიკის სამინისტრო ჩემი ხელმძღვანელობით აქტიურად ითანამშრომლებს ამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და არა მხოლოდ მასთან. 2001-2002 წლებში, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახლდით, შემდეგ უცხოეთში გამგზავრება მომიხდა, ხოლო იქიდან ჩამოსვლის შემდეგ, კვლავ გახლდით ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე.

— თქვენ ოჯახის შესახებ გვიამბეთ.

— მყავს მეუღლე და 2 შვილი.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— 30-ის.

— თქვენ კანდიდატურა ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ერთხელ



უკვე განიხილებოდა, მაგრამ მაშინ მინისტრად კახა ბერდუქებე დანიშნეს. ელოდით, რომ ისევ შემოგთავაზებდნენ ამ თანამდებობას?

— ვერ გეტყვით, რომ ეს გადაწყვეტილება მოულილნელი იყო ჩემთვის. მაგრამ ამჟამად ისე ვიყავი ჩაფლული ფინანსთა სამინისტროს საქმიანობაში, რომ არ ველოდი, ასე სწრაფად თუ დადგებოდა დღის წესრიგში ეკონომიკის მინისტრად ჩემი დანიშნის საკითხი და სიმართლე გითხრათ, ამ დაწინაურებულით დიდად დაინტერესებული მაინცდამანც არ ვეფილვარ. უკცრად შევიტყვავ, რომ რაღაც ახალ სამყაროში უნდა გადავსულიყავი. მართალია, ეს სამყარო მთლად ახალი და უცხო არ ყოფილა ჩემთვის, მაგრამ ფინანსთა სამინისტროსგან განსხვავებული კია.

— მას შემდეგ, რაც თქვენ მინისტრად დანიშნის საკითხი გადაწყდა, თუ გეონდათ კანსულტაციები თქვენს წინამორბედთან?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ირი დღის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს და მთელ რიგ საკითხებზე ვსუბრობდით.

— როდესაც ბატონი კახა მოვიდა ამ თანამდებობაზე, საზოგადოებას აგრესიული პრივატიზაციის პროცესს დაპირდა. მაგრამ ჯერ მხოლოდ რამდენიმე ობიექტია გაფილული.

— საპრივატიზაციო პროცესი დიდ დროს მოითხოვს. განვლილი პერიოდი გარკვეული ეტაპის მოსამზადებლად იყო საჭირო. აღბათ, რაღაც-რაღაცების განხორციელება უფრო ადრეც შეიძლებოდა,



სხვანაირად ეს უწყება ძალიან შეიძლება, არასტანდერი თრგანიზაციული სისტემის მქონე იქნება...

ლი სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის ასახვა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ცოტა პირობითია. თუ დავაკონკრეტებთ, ეკონომიკის სამინისტროს ძირითადი მიზანი, ისევე, როგორც მთავრობის გველა სტრუქტურული ერთეული, რა თქმა უნდა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაა. დარწმუნებული ვარ, რომ წელს ჩაგდებული, თუნდაც ერთი მარცვალი, გარკვეული ხნის შემდეგ, ნაყოფს გამოიღებს. ჩვენი უპირველესი მიზანია, საპრივატიზაციი პროცესის დასრულება, ჩვენი ეკონომიკის დერეგულაცია და ლიბერალიზაცია, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ამ სამი პირობის შესრულება რეალურად შექმნის იმის საფუძველს, რომ ვითქმირო ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობის ზრდაზე.

— უცხოური ინვესტიციების თემა უკვე რამდენიმე თვეა, აქტუალობას არ კარგავს. თუმცა რეალურად საქართველოში ფულის დაბანდების მაგალითები თითქმის არ არსებობს. არ მეთანხმებით?

— მე მგონი, უცხოური ინვესტიციები მეტნაცვლად შემოიდის ქეყნაში;

ინვესტიციები გადის კიდეც; ეს ბუნებრივი პროცესია და გაგრძელდება კიდეც.

თუმცა, უცხოური კაპიტალის შემოსვლა ერთბაშად არ მოხდება. უპრველეს

ყოვლისა, ჩვენ უნდა გავხდეთ სტაბილური ქვეყანა, რომელსაც ექნება მყარი პროზიციები მსოფლიო ბაზარზე, სხვადასხვა რესურსები თვალსაზრისით.

შესაბამისად, ეს მოგვცემს იმის გარანტიას, რომ უცხოური ინვესტიცია შემოვა საქართველოში. ეტაპიზოვად უნდა შევქმნათ საჩენებელი მაგალითები ჩვენს ეკონომიკაში. ჩვენ გვქონდა „ეი-ი-ეს თელასის“ მაგალითი, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის მთელ საინვესტიციო იმიჯზე. ეს არის ნათელი გაკვეთილი იმისა, თუ რამდენად წარუმატებელი შეიძლება იყოს ინვესტიცია ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სხვათა შორის, ევროპის მრავალ ბიზნესსკოლაში სტუდენტებისთვის მაგალითად მოჰყვათ „ეი-ი-ესის“ შემთხვევა. ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა „ბრიტიშ ერევისთან“...

— დადებითი შედეგის მატარებელი მაგალითების მოყვანა თუ შეგიძლიათ?

— ძალიან დიდ წვლილს შეიტანს პოზიტიური მაგალითების შექმნაში ისეთი გრანდიოზული პროექტი, როგორიც „ბაქო-თბილისი-ჯეიპანია“... ■

ირაკლი ბათიაშვილი:

ოლევანდელ ხელისუფალო
ტინეიჯერული ამონვნება აქვთ

შართალაც რომ, ართა ქვეცანა. ყოფილები ყოფილ კონსტიტუციურ ნესტის მისამართობა, გაერობებული მთავრობა კა, ქალაქი მომავალურ-ოვნების მანტიით ინორდება თავს. თაობათა შორის ამ დასტურება არ უწერია. ძველი სახეები ახლებს ანცობას უწუნებენ და ფელაფერს საყმაწვილო სენიორის სანიანების მიზანით? ნებაზე მიშვებული შეიძლების ლანდგას, როგორც წეს, „საერთო მამაც“ არ ერიდება. დღეს მაიც მთავარი, შოუ და შაირია...

ეს კანკონისუფლების ყოფილ სახეს — ირაკლი ბათიაშვილს, განვითარების და საინტერესო პოლიტიკური წარსული არგუნა, — ერთგული მოძრაობით დაწეული, აღმართულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში სალიდური პოსტებით დამთავრებული. თუმცა, როგორც ამბობს, კარგის დამთავრებამდე და შესაძლებლობების ამონვრებამდე ჯერ შეირთა და რაღაც ახალს და მიშვნელოვანს გვიპირდება.

ნანა ჭიათულებაშვილი

— ბატონი ირაკლი, რას საქმიანობით და როგორ გრძნობთ თავს ახალი ხელისუფლების პირობებში?

— ამჟამინდებული უწყერსისტებებში მუშაობს. ვარ ფილოსიფიის მეცნიერებათა კანდიდატი. აპრილში დავიცავი დასტურაცია თემაზე —

— „პიროვნება და შინაგანი დრო“, ამასთან, ვაგრძელებ კვლევით მუშაობას. რაც შეეხება სოციალურ მდგომარეობას, ახალი ხელისუფლების ხელში დალხინბულები არა ვართ. როცა დეპუტატი ვიყავი, მაღალი ხელფასი მქონდა და ამ თვალსაზრისით, უკეთ ვერმობდი თავს. საპენსიო ასაკიც ჯერ არ დამდგომარება — მუშაობის 25-წლიანი სტაჟია საჭირო. 3-4 წელიწადში, პენსიონერიც გავხდება. უნივერსიტეტში ძალიან მცირება ხელფასი მაქსი. ასე რომ, ჩვენი ოჯახი, დღესდღეობით, ჩემი მეუღლის ქამყოფაზე ანუ მის ხელფასზე ცხ-

ხოლო ზოგიერთი საკითხი, მთელი რიგი გარემობების გამო, ასე ძალე ვერ გადაწყვდომა. მთავარია, რომ პრივატიზაციის პროცესი დაწყებულია და მას დადებით შედეგებს საზოგადოება საკმაოდ სწრაფად დაინახავს. ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე მოლაპარაკების პროცესი; საუბრის არაერთ მსხვილ საპრივატიზაციო ობიექტზე, რომლებიც საკმაოდ ძალე გაიყიდება. თუმცა დავიტოვებ უფლებას, რომ უფრო კონკრეტული ინფორმაცია ამ გარიგებების შესახებ მოვგაინახებით გავამჟღავნო.

— ბოლო დროს, თითოეული ახალდაში შენული უნდებაში რეფორმების გა-ტარებას იწყებს. თქვენ რას უ-ინებთ ეკონომიკის სამინისტროს?

— რამდენიმე კვირაში სამინისტროს მუშაობის გასაუმჯობესებლად, მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდება.

— კადრების ოპტიმიზაციას თქვენც გეგმავთ?

— ამ მიმართულებითაც ვიმუშავებთ, მაგრამ ალბათ უფრო, როგორანიზაციის კუთხით. ფინანსთა სამინისტროში მუშაობისას, ხშირად ვაწყდებოდი ბიუროკრატიული ისტორიაში სისტემის გამო შექმნილ პრობლემებს, ამიტომ ყოველ ღონეს ვიხსმარ, რომ ეკონომიკის სამინისტროში ევენტური და გაგრძელდება კიდეც. თუმცა, უცხოური კაპიტალის შემოსვლა ერთბაშად არ მოხდება. უპრველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავხდეთ სტაბილური ქვეყანა, რომელსაც ექნება მყარი პროზიციები მსოფლიო ბაზარზე, სხვადასხვა რესურსები თვალსაზრისით. შესაბამისად, ეს მოგვცემს იმის გარანტიას, რომ უცხოური ინვესტიცია შემოვა საქართველოში. ეტაპიზოვად უნდა შევქმნათ საჩენებელი მაგალითები ჩვენს ეკონომიკაში. ჩვენ გვქონდა „ეი-ი-ეს თელასის“ მაგალითი, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის მთელ საინვესტიციო იმიჯზე. ეს არის ნათელი გაკვეთილი იმისა, თუ რამდენად წარუმატებელი შეიძლება იყოს ინვესტიცია ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სხვათა შორის, ევროპის მრავალ ბიზნესსკოლაში სტუდენტებისთვის მაგალითად მოჰყვათ „ეი-ი-ესის“ შემთხვევა. ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა „ბრიტიშ ერევისთან“...

— როგორც გეგმავთ, ჩამოყალიბებული გაქვთ სამუშაო სტრატეგია. როგორ ფიქრობთ — რამდენად სწრაფად შეიგრძნობს საქართველოს თითოეული მოქალაქეებ ეკონომიკის სამინისტროს ეფექტურ მუშაობას?

— ზოგადად, რომელიც კონკრეტუ-

ოვრობს. მაგრ ფინქლოვადა და „მაგ-
თიკომში“ კვლევით სამუშაოებს აწარ-
მოებს. ჩვენი როლები შეიცვალა: ხომ
სედავთ. — შინაც მე დაგვხდით, მასპინძ-
ლის რანგში.

— ჩანს, საკუთარი თავისთვის
მოიცალეთ. რით წამოჩვედით პოლი-
ტიკიდან და შემთხვევით, დათო-
გუნვილად ხომ არ გრძნობთ თავს?

— არც არაფერი დამტკარგავს და
არც შემძინა. მინისტრად ყოფნის ღრი-
საც, თანამდებობაზე რითიც მივედი, მი-
თვე წამოვედი; შეიძლება, უფრო მძიმე
ძღვომარეობაშიც კი აღმოვჩნდი. ფსი-
ქლოოგიური თვალსაზრისით, მხნეობა არ
მოქლება და თავს არც დათრგუნვილად
ვერჩნობ, პირიქით — საკაოდ აქტიური
ცხოვრების რეჟიმი მაქს — სპორტიდან
დაწყებული, კვლევითი მუშაობით
დამთავრებული: პილიტიკური ფილო-
სოფიის სფეროში სტატიებს ვწერ და
ვაწევინებ.

— სპორტი ახსენეთ. კერძოდ,
რომელ სახელბაში ვარჯიშობთ?

— ძალიან მიყვარს ცურვა და ხშირ-
ად დავდივარ აუზზე. ბევრს ვვარჯიშობ,

დავრბივარ... ახლა,
ცოტა ამოვკარდი
რევიზიდან — გრიპ-
მა შემიშალა ხელი.

— ३३८० —

ტკიცასთან დიდი
ხნის ურთიერთობა
ბა გაკავშირებთ.
დღესდღეობით,
ხომ არ მიგაჩნიათ,
რომ იქ
თქვენი ადგილი
აღარ არის? თუ
ფიქრობთ, რომ

თქვენი დრო კვლავ მოგა? მიღე
ახალ ამპლუაში ხომ არ გიხ-
ილაფთ?

— არა, პოლიტიკას არ ჩამოვშორები-
ვარ. აღმათ, თვალყურს ადევნებთ და
შენიშნავდით, რომ დროღადრო, გარკვეულ
პროცესებში ვებმები, რომელიც ქვეყნის
უსაფრთხოებასთან, კულტურასთან, გა-
ნათლებასა და რელიგიასთანაა დაკავ-
შირებული. თუმცა, რომ გითხროა, პარ-
ტიაში ან რომელიმე პოლიტიკურ ორ-
განიზაკიაში ვარ-მეტქი, არ იქნება მარ-

ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ამათი მოსკოვა.
ხელისუფლებაში. შეაგრძნიამისამი ჰავიგისტების მიუხედავად,
უძალ ვალითო — იქ საშინელი ქრიზისი იყო...



ତାଙ୍ଗି. ମିନଦା ଗୋଟିକରାତ, ରାମ ମାରଫ୍଱ୁଚ
ଏବଂ ବାର. ଜ୍ଵାଳିତ୍ତିବନ୍ଦିଗୀରୁାଦ, ସାକମାନ୍ଦ ଲିଙ୍ଗ
ଦୁର୍ବନ୍ଦତାନ୍ ଏରତାଦ ଯୁଗେଲିଲ୍ଲାଶୁରାଦ ଶେରା-
ଟିଶୁଲ କ୍ରମିଶୁଲପ୍ରାଚ୍ଯୁତିରୁଥିବେ ବାତାରୁହେବା. ଏହି
ଦୁର୍ବନ୍ଦ ତାନ୍ଦିତାନ୍ ନିର୍ଦ୍ଦେଖାଦ. କେମି ଏକିତ୍ତି-
ଶୁରାଦା ଏବଂ ରୋକ୍ଷପ୍ରିୟଦା ମନ୍ଦିରିଶୁନ୍ଦରିତ୍ତି, ଏହା
ମାରଫ୍଱ କେମା, ଏରମ୍ଭୀର ଗାରିକ୍ଷେତ୍ରିଲିଙ୍ଗାଦ,
ଦୁର୍ବନ୍ଦିରେ ରୋକ୍ଷପ୍ରିୟଦା. ଏହି ଶୁଦ୍ଧିକ୍ଷତି ଅନ୍ତର୍-
ଦେଶୀ କାଶିତାନ୍ ଆତାର୍ଗ୍ରେବେ: ଶେଷିଲ୍ଲାଦା ଏହି
ଏଣି ଅନ୍ତର୍ଦେଶୀରୁଣ. ଦ୍ୱାରା ମୁଦ୍ରିତାଦ ଗ୍ରୀଭ-
ଵ୍ସି ଏରତିମାନ୍ତିତାନ୍, ମନ୍ଦିରି ରିଗି ତାଲି-
ତିକ୍ଷୁରାଦ ତେମ୍ବେଦିର ଦାମ୍ଭଶାକ୍ରବ୍ରିଦିର ତ୍ରୟାଳ-

დაივილები

కృష్ణ 635

୫୯

გულარვა!

კერატინ® აინი

ଶ୍ରୀମତୀ ପିଲାନ୍ତାଳୀ 10/22 ହିଂକାରୀଖାଲୀ



- კვამათელი მინის მიზანია რეპოზიტორია:

 - ✓ კუჭის წვის, ბეცძმახვის ქმნა;
 - ✓ მომატებელი მექანიზმით გამოწვევის კუჭის ყაივირის ქმნა;
 - ✓ საკვებით, ადამიანით, მეტიამენტებით გამოწვევის კუჭის მექანიზმის მომატების თავიდან ასაცილებელი

ପ୍ରାଚୀମାତ୍ରାଙ୍କିଳୀ ୧୦୬୦

კვართელი მონ ტაბლუტი 10გვ №14 ⇒ იკითხეთ აფთიაქებში

ს.ს. გეღვერც რიხტერის წარმომაზგანლობა საქართველოში

ଫୋନ୍: ୩୭୧୧୦୦, ୯୪୩୦୯୯

პრეპარატის მიღებამდე
გაეცანით ანოგაციას

საზრისით. მომავალში იგი გარეული დღია საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათის მიიღებს.

— როგორ მოხდა, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ვინც ერთი პერიოდი, შევარდნაძეთან კონფრონტაციაშიც იმყოფებოდა, „გარდების რევოლუციამდე“ ერთი თვით ადრე, მისი „მომავალდაცი“ ბლოკის წერზე გახდა?

— შევარდნაძის გვერდით 1992-93 წლებიდან განვლაგართ — იმ დროიდან, როცა უშიშროების შეფი ვიყავი. აფხაზეთის ომის დროს, ფრონტის ხაზზე მიწვევდა ყოფნა, უშიშროება მათინ, უფრო სილიდური სამსახური იყო, გამოცდლი კადრებით დაკომპლექტებული. მერე იცით, რომ დსთ-ში შესვლის გამო წამოვდით თანამდებობადან. სწორედ იმ დროს მივიდა „მოქავშირი“ შევარდნაძესთან. ეს ხალხი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, 1993 წელს გამოჩნდა ასარეზზე. დღევანდელი ხელისუფლება სახელმწიფო კადრების შემთხვევით „მოქავშირია“... შევარდნაძესთან. ეს ხალხი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, 1993 წელს გამოჩნდა ასარეზზე. დღევანდელი ხელისუფლება სახელმწიფო კადრების, აფხაზეთის საკითხებს. ჩვენ 2002-03 წლებში ნორმალური საქმანი ურთიერთობები გვჭინდა. მანამდე კა, 1993 წლიდან, მწვავე კონფრონტაციაში ვიმყოფებოდთ ხელისუფლებასთან — სახელმწიფოს მეთაურთანაც და „მოქავშირთანაც“. მე არ დავაზუტებ, თუ რა ხდებოდა აფხაზეთის პროცესებში... როცა „მოქავშირის“ ჩვენი ახალგაზრდა ლიდერები საზღვარგარეთ დარბოლენ, მე აფხაზეთის ტერიტორიაზე ყინვასა და თოვლში მიხდებოდა სიარული. მერე პარლამენტმა, „ახალი მემარჯვენების“ ინიციატივით, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ ამირჩია და აქტიურად ჩავები იმ სფეროს საქმიანობაში, რომელსაც თავდაცვა და უშიშროება პეტები ადარ კლაპარაკობ... ყველა ქაოსია,

სტაგნაცია, რამაც მოსახლეობაში დიდი აგრძესია გამოიწვია. ხელისუფლების აბსოლუტური დამყაფების პირობებში ვიცოდი, თუ რა შეთქმულება მზადდებოდა და რა ძალები უნდა მოსულიყნენ ქვეპნის სათავეში. ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ამათი მოსვლა ხელისუფლებაში. შევარდნაძისადმი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვაღიარო — იქ საშინელი კრიზისი იყო. ეს თუნდაც იმან აჩვენა, რომ მოელი სტრუქტურები, ბუტაფორია აღმოჩნდა: საქმე საქმეზე რომ მიღვა, შევარდნაძე არავინ დაიცვა, ყველა გამყიდველი აღმოჩნდა. ესეც მანიშნებდა იმაზე, თუ რა ძლიერი მარეობა იყო სახელმწიფოში. იმ ავანტურისტული ძალების მოსვლა, რომლებსაც მთელი იღეოლოგია აგებული ჰქონდათ ტყუილზე, თვალთმეციობაზე, პიარსა და ფოკუსებზე, დაუშვებლად მიმაჩნდა. ერთი წელი გავიდა და მითხარით — რა გაკეთდა? რა, 3 ლარი მოემატა პენსიას? არ გვინდა ბევრი ფილოსოფია — ძალიან გაჭირდა და გაძირდა ცხოვრება, გაიზარდა უმუშევრათა რიცხვი, ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, პერსპექტივები დამტკიცდა, იმიტომ, რომ რესტორანი გატასტროულად გამწვავებული ურთიერთობები გვაქვს. კრიმინოლოგნურ კითარებაზე ადარ კლაპარაკობ... ყველა ქაოსია.

— მითხარით, რომელი ხელისუფლების პერიოდში გრძნობდით თავს ყველაზე სრულფასოვნად?

— ეს იყო ეროვნული მოძრაობის პერიოდში. იმდენად ამაღლებული სულისკვეთება იყო, რომ ამის გამეორება შეუძლებელია. რაც არ უნდა იღაპარა-კონ, იქ დიდი პიროვნები იყნენ...

სხვათა შორის, მე მანკადამინც შევარდნაძის გვერდით კა, არა, სახელმწიფოს ინტერესების საქმიანობაში სადარაჯოზე დავდევები. შემეძლო, გამზე გავმდგარიყვავი, ხელი

მე ჩემი ჰერი მოსიარულე კაცი ვარ. პაზიდიურსაც ვხედავ და აღნიშნავ და ნეგატიურსაც (მეუღლესთან და უშერლო ერთად)



დამებანა, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგ წავედი, რომელიც გარედან ფინანსდებოდა; შედეგიც აშკარად ვიცოდი, როგორიც იქნიდოდა.

— შევარდნაძესთან ურთიერთობას, თანამშრომლობას ზოგიერთი, ბედის საჩუქრად მიიჩნევს, ზოგიც — სასჯელად. თქვენ ალბათ, პრეველს იზარებთ, ხომ?

— ამას არც საჩუქრად დღევანდელი აღვიქვა და არც სასჯელად. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, კარიერისტი არასოდეს ყოფილვარ. ყველა მათგანი შევარდნაძეს გუნდრუს უკეთებდა. შეგვიძლია, მათი ფრაზელოგია და გამოსვლები მოვიძიოთ. ყველამ იცის — მე ჩემი ჭკუთ მოსიარულე კაცი ვარ. პოზიტიურსაც ვხედავ და აღნიშნავ და ნეგატიურსაც. შევარდნაძეს ყოველთვის შეუძლია, კონკრეტულად თქვას — მე ავაშენე „სამება“, გავიყვანე ბაქო-ჯეიპანის მისალდენი, გავაკეთე წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა და ბევრი სხვა რამი. ზემდეგ გამსახურდის შეეძლო ეთქვა, — მე გამოვაცხადე საქართველოს დამოუკიდებლობაო. ადამიანმა ამაზე მეტი რა უნდა გააქტივოს?! ესენი მხოლოდ პენსიის 3 ლარით გაზრდას მოიგვანენ მაგალითად. ეს მაშინ, რიცა ყველაფერი ათჯერ გაძვირდა. მე არ ვარ დესტრუქციული აღამიანი, რომ ვინეს კრიფაში ჩავუდგე ან რევანშისტული განწყობა მქონდეს. ერთი პერიოდი, იმის დაბაზვასაც ვკლილდები, რომ ესენი სამაჩალოსა და აფხაზეთის დასაბრუნებლად რამეს გააკეთებდნენ, მაგრამ მხოლოდ არასერიოზული მიღომა დავინახე, თითქოს შორის დადგმაზეა ლაპარაკი... ცარიელი ლაპარაკით, ბრიფინგებით და ცეკვა-თამაშით შეიძლება საქმის კათება...

— რამეს თუ ნანობთ?

— ერთ რამეს ვნანობ. რიცა „ვარდების რევოლუცია“ მზადებოდა, ცუადე, წინააღმდეგობა გამეტია, ყველ შემთხვევაში, გვერდზე არ გამდგარვარ. ზეიადის დროს, როდესაც, სამაჩალო მასალითად გერაფერის უშველიდა... აი, ამას ვნანობ: ალბათ, როგორც ახლა, მაშინაც მოსახლეობაში მოიგვანენ ვაკუუმით — წინააღმდეგობა ვერაფერის უშველიდა...

— ახალ ხელისუფლებასთან არანაირი კონტაქტები არ გაქვთ?

— არა. რომ შემხვდნენ,

მარტო მიგესალმები, ხელს ჩამოვართმევ. არავითარი სურველი არ მაქს, რომ დღეს რამე თანამდებობა მქონდეს ან სახელმწიფო საქმიანობაში ჩავება. თუ საჭირო გახდება, რომ სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ყველა ერთად დავდგეთ — ეს სხვა საქმეა...

— ბოლო დროს, გააქტიურდით — უნივერსიტეტში ამბოხებულთა შორის თქვენს გამოჩენას ვგულისხმობ, რამაც ზოგიერთები გააღიზანა. თავად სტუდენტებმა როგორ მიგილეს?

— ძალიან კარგად. არსებობს პატარა ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან იმართებიან. ზოგი, სამწუხაროდ, სხვანაირადაც იმართება... იქ ისეთი „ზეწოლები“ და სამარცხვინო მოვლენები დავითახე, როგორიცაა სტუდენტების მოსყიდვა და სხვა. ასე მუშაობდა უშიშროების კომიტეტი საბჭიოთა კავშირის დროს. რასაც ესწინ კადრულობენ, ისინიც კი არ იყალებდნენ. ამათვის მიუღებელია ყოველგვარი განსხვავებული აზრი. დემოკრატიასთან არანაირი საერთო არა აქვთ. თანაც, საოცრად შმიშრები არიან... უნივერსიტეტი პოლიციის და უშიშროების თანამშრომლებით იყო გაძეგილი. იკით, რატომ ეშინათ? თავად ძალადობის გზით არიან მოსული და ამიტომაც თან დაჰყებათ პარანოიდული შიში.

— პარლამენტში სიარული არ განატრებათ თუ უკვე გადაეწივოთ?

— წარმოიდგინეთ, არ მენატრება.

— თქვენი ძველი გატაცების შესახებ რას გვთეტყვით? ეპლესია-მონასტრების მონასტრულებას ვგულისხმობ. ბოლოს, სად იყავით?

— ბეთობის მონასტერში ვიყავი, მანამდე — ნეკრესსა და საყარაში. ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი, შინაგანი მოთხოვნილებაა. რამდენიმე დღით მივდივარ ხოლმე. გარდა იმისა, რომ იქაური, ასე ვთქვათ, ტიპიკონით ვცხოვრობ, სამუშაოც მიმაქს. იქ უმეტესად, მარტო დავდივარ, იშვიათად — მეგობრებთან ერთად, დღის წყალიბით, ბედნიერი კაცი ვარ: მყავს 2 შესანიშნავი შვილი და ერთვული მეუღლე, რომელიც ჩემი დიდი მეგობრია. მაქს ტკბილი ოჯახი, საბოლოო სულიერ სიმშვიდეს ვპოვლობ და ამისათვის ყველა პირობა მაქს შექმნილი.

— ახალ წელს სად და როგორ შეხდებით?

— ოჯახში, ტრადიციულად. შეგიძლიათ შემოგვიერთდეთ. მარხვაზე ვარ, მაგრამ აღათ, ერთ-ორ ჭიქას ავწევთ. შობის დღესასწაულს უკვე სერიოზულად შევხდებით.

ჩვენი რუპრიკის სტუმ-რად ამჯერად ტელეწამყვანი ნატო მოიპოვთ შევარ-ჩივ ნატო რამდენიმე თვის წინ გეოლოგ რეკუშა მგელაძეს გამყენა ცოლად. ჩვენს ინტერვიუს თურმე რეკუშაც მოუთმენლად ელის. ნატო დაურიგებია კადეც — აბა, შენ იცი, შველაფერი მოჰყვით, ძალზე მაინტერესებს შენი სასიყ-ვარულო ამბებით. თუ როგორ ჩაიარა ნატოს პირველმა პაემანმა და რაზე ესაუბრებოდნენ შველაზე ხშირად თაყვან-ისმცემლები, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.



ქავიდაუინკუად ჩიუჩნდებული ეთ ძალაში გამომდიდად ქული იური იუნდა ეთ ძალაში ეთ უსუყ

მერი კობიაშვილი

— მამაჩემი ქიბულეთში მუშაობდა, ამიტომ იქ დავიბადე. საბავშვო ბაღშიც ქიბულეთში დავდიოდ. ოთხი წლის რომ გაეხდა, ერთმა ბიჭის (რომელსაც თემური ერქა), გამომიცხადა, — მიყვარხარ და ცოლად უნდა მოგიყანოო. მე არც ვიცოდი, მისი ნათებამი რას ნიშანვდა. სახლში მისი სიტყვები სიტყვასიტყვით გავიძეორე. მამაჩემმა თავში ხელი შემოირტყა, — რაღა ვწა, უკვე დაწიწოო... მანიცდამანიც აღრულ ასაქში არ გაითხოვილვარ. მამაჩემს სულ ვეგბენბოლდი, მაშინ თავში ხელი რომ შემოირტყი, იმტომ არ ვთხოვდები-მეთქი. სხვათა შორის, ერთხელ წამოსცდა: კიდევ მიხარი და კიდევ მწერინს, ნატო რომ გათხოვდა. მართალია, ჩემი და ნიკუშას ბინა ჩემი შმიბლების ბინასთან ახლოსაა, მაგრამ მამა ძალიან განიცდის, მათთან რომ აღარ ვცხოვრობ.

— ანუ „მამიკოს გოგო“ იყავი?

— დღდა ყოველთვის ჩემი ბინი მხარეზე იყო, მე კი მამას გოგო ვიყავი. აკენში გავუზრდივარ შშობლებს. დღდა მეყვებიდა, — მამა აკენინად აგიყვნდა და ისე გეფერებოდაო. მთელი ცხოვრება მნებივრებდა, თანაც ვმეგობრობდით. ამავე დროს, მისი დიდი რიდიც მქონდა.

— პირველად როდის განითლდი ბიჭის დანახვაზე?

— ბიჭისა და გოგოს ერთმნეთი რომ შეიძლებოდა ჰყავრებოდათ, საქამოდ პატარამ გავიგე. მეორე კლასში მოპასანის „წუთისოული“ წავიკითხე ციდევ კარგი, ეს ოჯახის წევრებს არ გაუგაით. სიმართლე გითხრათ, მაშინ იმ წიგნიდან ბევრი ვერაუგრი გავიგე, მაგრამ მიხედი, რომ არსებობდა ძალიან ლამაზი გრძნობა — სიყვარული. როდესაც კარგ წიგნს კითხული, გვინა, რომ ის ყველაფერი შენს ცხოვრებაში მოხდა. მაგრამ რელობა სულ სხვა — გადწყვეტილება თავად უნდა მიიღო და აქ წიგნი ვერა დაგეხმარება. სხვათა შორის, მთელი ჩემი ცხოვრება, გოგონებზე მეტად, ბაჭყალი ვმეგობრობდი — მათ შენი არასიღროს შეშერებათ, ლამაზი კბისა და ძვირად დირებული სუამოს გამო.

— შენ აზრით, სიყვარულის სრულყოფისთვის მთავარი რა არის?

— ერთია რომანტიკული ურთიერთობა — როცა შეეცარებული ყვავილებს გიძლიერის, გაკითხავს, აინტერესებს, სად ხარ და მეორე — საყვარელ ადამიანთან ერთად ცხოვრება. ჩემთვის ოჯახისა და სიყვარულის სრულყოფისათვის აუცილებელია შვილის ყოლა. ამიტომ მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე ჩემი სიყვარული სრულყოფილი არ არის.

— პირველი პაემანი როგორ გახსნდება?

— პირველად პაემანზე მეათე კლასში



ამჯარად დაიბნა. როგორია — გოგო მევობრუ-
ლავ გოგოარს, ის კი სიყვარულს გიხსნან!

წავედი. მაშინ თეორი ფერის ტანსაც-
მელი იყო მოდაში. გახარებული და
ბეღინირი ფიჭვი, რაღვან თეორი ზე-
დატანი და თეორი ფერისე ქვედა-
ოლო მეცვა. შენიდან გასვლის წინ
სააბაზონში შევედი. უცბელდე, ფეხი
გამიცურდა. მართალია, არ დაცემულ-
ვარ — როგორდაც მოვახერხე და
ასაზანის კიდეს დაგუმრდენი, მაგრამ
ქვედაბოლო მაინც დამისველდა. გა-
დავწყვიტე, უთოთი გამეშრო. ამ დროს
მეგობარმა დამირექა. უთო კაბაზე
დამრჩა და ჩემი თეორი ქვედაბოლო
გააყიდოთლა. ძალიან ვინერვიულე,
ვიტირე კოდეც, მაგრამ სხვა ქვედა-
ოლო ჩავიცვი და პამანზე მაინც წავედი.
ხშირად ხდება ასე — როცა რაღაცას
ძალიან მოინდომებ, რამებ ხელის შემმღე-
ლი გამოჩენება ხოლო. ამ ყველაფრიდნ
გამომდინარე, ალბათ ხდება, რომ პირველ
პამანს კარგად არ ჩაუვლია, მომხდარის
გამო გულდაწვეტილი ვიჭვი. ახლა რომ
ვისქსენ, მეცნიერა, მაგრამ მაშინ ის ჩემთვის
ნამდვილი ტრაგედია იყო.

— ბიჭები შენ მიმართ დაინტერესებას როგორ გამოხატავდნენ?

— სკოლაში კომპლიმენტებით არავინ
მანქებივრებდა. ოუგუსტა სასკოლო ასაკში,
სიყვარულს ძირითადად, თავში ჩანთის
ჩარტყმითა და თბას მოწირებით გამოხ-
ატავენ.

— შეყვარებული ძალიან ემოციურთ სდები?

— ზომიერებას არასოდეს ვაკრგავ. შეიძლება ბევრი ადამიანის რჩევა მოვისმინო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც დამტკიცდებოდა ვიღებ. ადამიანს წონას-წორისის დაცვა უნდა შეეძლოს. მალინი დიდი ისხარული, პარადად ჩემთვი, ისევე დამანგრევლად მოქმედებს, როგორილაც ტრაგედია. შემირად ვამხობ, თუ საქართველოში ადამიანის გამოცდა გინდა, უნდა აქ, დიდი თანამდებობა და ფული უნდა მისცე და ამის შემდეგ ის ლაპტევსის ფრენციას ასრულებს — მოლინად იში-ფრება-შეთქი.

— პაერმანთან დაკავშირებით
რაიმე კურიოზი თუ გადაგხდენია
თავს?

— პაქტინთან დაკავშირებით არა, მა-
გრამ ერთხელ ძალიან სასაცილო სიტყუ-
აციაში აღმოგჩნდი. ერთი მეგობარი ბიჭი
მყავს, რომელიც ახლა სხვა ქალაქში
ცხოვრობს. როცა ვინმე მოეწონებოდა, მე
მოხოვდა, მისი ლექციების ცხრილი გადა-
მოიწერო. ვისაც თვალი დაადგა, ყველა
გათხოვდა. ერთხელ ვკითხე, — ჩემ მიმა-
რთ არასეროს გაგრძინა განსხვავებული
გრძნობა-მეტე? აშკარად დაინა. როგო-
რია — გოგო მეგობრულად გიყვარს, ის

კი სიყვარულს გიხნისი՞?! გაფითორებულ-
მა ახსნა დამიწყო, რომ როგორც მე-
გობარი ძალიან უკუკრძლი, დიდ პატივს
მცემდა და ა.შ. მშვიდად შეენდე და
კუთხარი: ვინც მოგეწონა, ყველა მაქსიმუ-
მოს თვეში გათხოვდა; ახლა კი ვადაგწ-
ყოტე, რომ ჩემი გათხოვების ჯერი დად-
გა-მეოთქი. ამის თქმა იყო და, აუდიტორი-
დან გავაკრძლი. მოელი კურსი აკავებდა,
რომ კარი არ გამოენგრია და არ მოვეკა-
ლი. ერთი კვირა ვემალებოდი. ბოლოს
შეგარიგას.

— ტელევიზორანზე გამოჩენის შემდეგ ალბათ პევრი თაყვანისმცემელი გადიჩნდა...

— მამაკაცისთვის გამოცდა თუ
მოგინყვია, იმის დასადგენად, ნამდ-
ვილად უყვარდი თუ არა?

— ადამიანს კოჭებში ეტყობა, რაც არის. საქმის მეთებელი კაცი ბევრს არ ლაპარ-აკობს.

— မომავალ မျှော်လဲခဲ့ ဖို့
၁၁၈၁ ၈၂၅၉၃?

— ოთხი წელი განლობლობდით. მერე
ეს ურთიერთობა თავისთავად გადაიზარდა
სიყვარულში.

— მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც ბავშვობაში ოცნებობდი?

— დაოვახებამდე 4-5 თვეთ ადრე, ქალური ინტეიციით მიგვედი, რომ ჩვენი ურთიერთობა ღვაების შექმნით დამთავრდებოდა. ჭირწოდში თერთი ჭაბის ჩაკადზე

არასტრონს მიოცნებია, ამიტომ ვარებ-
ისუკერი კაბა მეცვა. ჯვარი სიონში
დავიწერეთ. ყველაუკერმა ქარგად ჩა-
ასა. რატომძაც მეორა, რომ ჯვრისწე-
რის ღრის უფრო დაბატული ვარები
ბოლო (ამ ღრის ხომ ყველა ნევერ დე-
დელოფალს მისჩერება). ტაძრიდან
რესტორნში რომ მოვიდიდთ, მხექა-
ნაში ჩემმა მეცვარებ პოლიტიკაზე
ლაპარაკი წამოიწყო. ერთი სუთი
წუთი მაინც ვისაუბრეთ. მერე გამე-
ცინა, — სულ მეორა, რომ ჯვრისწერ-
ის შემდეგ სიძართასრული სულ სხვა-
თემბოზე ლაპარაკი გაიხსნებოთ, — კოტე

— როგორი მეულლეა ნიკოლაშა? ცოლქმრული ცხოვრება რთულია?

— ყოველ შემთხვევაში ჯერ არ გრძელდებოდა. სტილურ მუსიკის მიზნების მიხედვით, გათხოვდება და იყვანის მიზნი, მაგრამ აპა, ბატონი, გავთხოვდი, მაგრამ არ გვჭინობ. მე და ნიკებრივი ისეთ ასაკში ვართ, რომ პატარ-პატარა რაღაცებზე არ გვიძათობთ. საერთოდ, ცოლაქერული ცხოვრისა უფრო როგორც დაწარმიმედებინა, მეგონა, ბევრი მოვალეობა დამტკიცირებოდა... რაც სანახავი იყო, ყველაფერი ვნახე. ბევრგან ვიმოგ ზაურე, კარიერა შეეკიმნი, საინტერესო სამსახური მაქსი — ლექციებს ორ ადგილას გვითხულობ. მოკლედ, ოჯახი შექმნის დრო მოვიდა და საამისოდ შენაგანადაც მზად ვიყვავ.

— მალე ახალი წელი მოგა.
შეგიძლია გაიხსენო, გასულ ახალ
წელს როგორ შეხვდი? ვინ იყო
ოჯახის მეკვლე? ვის ფეხს უნდა
უმაღლოდე გათხოვბას?

— (օցօնօն) զբարագերո օև մռեծա,
ռողբորց წիճա վլոյթօն. Ծամօն პօրշալ
սատամդյ սախլթօն զոյսաշօ. Մերը մըցո-
ծրշտակ թաշարօ. Ոչախօն մշկալը գ հեմո
մմա ուղու.

— მეუღლეს მოსწომს შენ მო-
გზადებული კერძები?

— ნიკაშა სულ მეუბნება, კერძე კთ-

წარმოვდგენით, ასეთი გეგმისები საჭილებულის კეთება თუ შეეძლოთ. რატომძაც ბევრს ჰყინია, რომ რაღაც დაკავებული ვარ, სამზარეულო საქმე არ მცირდინება.

— როგორ ფიქრობ, შევყარებული ადამიანი სხვის რჩევებსა რატომ არ იზიარებს ხოლმე?

— იმიტომ, რომ აზრი არა აქვს, შეცვალებულისთვის რჩევა-დარიგებების მიცემას. ეს იგივეა, პატარა ბავშვებს მიღლიონ-ჯერ რომ გაუშერირო, ცხელ ტაფას თითო არ მიადო, დაწვავსთ. სანამ თითს არ დაიწვავს და არ გმირებოდა, კურ მოისცენდება. ასევეა შეცვალებული ადმინიც - საკუთარ შეცვლიმებზე სწავლობს.



„რეპ იანეზქ,

ეს ციკი ზემთრის ერთ ლეგენდა ლეგენდას ესე ბეპლივია?..“

მარი ჯაფარიძე

„ნიკუშ, ვიცოდი, რომ იმერელი იყავი, მაგრამ ასე ახლოს თუ იყავი ჭათურასთან, არ მეორა. ვისურვებდ შენს გუნდობას. მარიკა“.

„კოოტ, ვიდებდ შენს სტილზე, ძალიან საყარაული ვინე სარ. სხვათა შორის, მეც შენსაყოთ კოოტი ვარ. მტდა მაქს, გაგიცნობ და საერთო ენას გამოინახავთ. გვოცნი“.

„ჩემი მეგობრები ამბობენ, რომ ნიკა ერთი ჩვეულებრივი, „ღლავისტი“ ტიპია. მე კი ვიცი, რომ სულ სხვანაირია. მის თვალებში რაღაც ილუმანი და სეკდიანი ვაპავე. მეორია, რომ ძალიან კეთილი და მეგობრული ტიპია. ჰოდა, მეც მასთან მეგობრობა მინდა. ჩემთან არ მოიწყეს, ერთად ვიხალისხდა. მე გაღიძების გაცილებით ორიგინალური მეთოდები მაქსს. ნიკუშ, ყველოფები შენი გულშემატკვარი ვიქნები. არ გინდა, ერთად გავაღიძოთ ხალხი?“

„სასიძო“ მაგარი „ხოხმა“ ტიპია. სიამონებით ვიმებობრებდი მასთან. ნიკუშ, შენთან ერთი სახოური მაქსს. ვიცი, უარს არ მეტყვე. ძალინ გთხოვ, მომცე იმ ბიჭის ტელეფონის ნომერი, „ფარულ კამერაში“ რომ გყავთ. თუ არ ვცდები, საშტა პეტრა და ძალზე გადარულულ ტიპია. სულ ტიტლიგანა რომ დაიარება ზევით-ჭვევით. გთხოვ, გთხოვ, გთხოვ... თუ არ დატემარები, ვიფიქრებ, რომ ყველა იმერელი, ნამდვილი აფერისტია. „ჯუქლა“.

„ოცნებად მექცა შენთან შეხვედრა, ვოცნებობ შენზე, შენს სიყვარულზე, ჩაგიკრავ გულში, მოგეფერები და დაგიკოცნი სანატრელ ტუჩებს. სურ-

ვილი ხომ არ გაქვს, გამაღვიძო?..“

„ვაა... მაგარია... ნიკუშ, ლამაზო, რა იქნება, დამიმესიველ და ამ ცივი ზამთრის ერთ ლამაზ ღამეს მეც გამაღვიძო?.. მა-გარი ვინე სარ, გორცნა. ნანა“.

„ნიკუშ, ჩემი სიცოცხლევ, ნეტავ, ჭრის-ელ მაიც გამაღვიძებდე. მოუხედავად იმი-სა, რომ ზესტაფონელი ვარ, ნუ ეგშინა, ფხევანი არ ვარ. ძალიან მიყვარსარ. გვოცნი. ნატრი“.

„ძალიან კარგი „სასიძო“ შეეგირჩევი-ათ. ნიკასთან სიამონებით ვიმებობრებ. მაგარი, „მმა“ ადამიანი ჩანს. ნათა“.

„არ მიყვარს, როცა ვინე მაღვიძებს, თანაც – უმიზეზოდ. მაგრამ თუ ნიკა გამაღვიძებს, წინააღმდეგი არ ვიქნები. მით უმეტეს, თუ მიზეზიც ექნება“.

„ნიკა, მაგრად, „გვევასტი!“ ჩენ როდის უნდა გავაღიძო?.. თელაველები“.

„ჩემი „ბუდილნიკოვი“, ვერ ვატო, როცა უდრიოდ დროს მაღვიძებნ, მაგრამ შენ თუ გამაღვიძებ, თანაც – კოცით, არ გაგი-ბრაზები...“

„ასეთი „სასიძო“ ჯერ არ გყოლიათ. ყველას თმა დაგარულებილი აქს ხოლმე, ეს სულ გაჩეჩილი დადის. თანაც, ჩაცმულობაც ორიგინალური აქს. მიყვარს ასეთი თავისუფლი ხალხი. პროფესიაც შევ-ნიერი აქს. თუ დამირეკავს, მაგარი სიურ-პრიზი ელის“.

